სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ქრისტიანობის ისტორია

მისანიჭებელი ხარისხი: ისტორიის მაგისტრი / MA in History

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი ქეთევან პავლიაშვილი.

პროგრამის ანალოგები:

- კემბრიჯის უნივერსიტეტი. http://www.woolfinstitute.cam.ac.uk/ejer.courses/mst.php; E-mail: ester.Haworth@woolfinstitute.cam.ac.uk
  პროგრამა _ "Master of Studies in the Study of Jewish – Christian Relations".
- ნოტრ-დამის უნივერსიტეტი. http://www.nd.edu/~ecs/program.html, E-mail: ecs.1@nd.edu
  პროგრამა _ "The Joint Program in Early christian Studies".
- ბობ ჯოუნსის უნივერსიტეტი, http://www.bju.du/academmics/seminary/programs/machhist.html
  პროგრამა "Master of Arts in Church History".
- კოპენჰაგენის უნივერსიტეტი http://www.toel.ku.dk/akh/english/, პროგრამა _ "History of Cristianity".
- აბერდინის უნივერსიტეტი, http://www.abdn.ac.uk/divinity/pgrad/mth-history.shtml, E-mail: sras@abdn.ac.uk
  პროგრამა "Master of Theology (MTh) in Church History".
- ბოსტონის უნივერსიტეტი, http://www.bu.edu/bulletins/grs/item02.html#anchor04, პროგრამა _ "Devision of Religions and Theological Studies".
- ბერნის უნივერსიტეტი, http://www.thoel.unibe.ch/studium/studierendenaustausch/en/theologyma.html, E-mail: dekanat#thoel.unibe.ch
  პროგრამა _ "Church History".
- Trinity International University (USA), http://www.tiu.edu/divinity/, E-mail: tedsadm@tiu.edu
  პროგრამა _ "Master of Arts Concentracion in Church History (MA/CH)".
- დალასის უნივერსიტეტი, http://www.dbu.edu/leadership/Mace, E-mail: graduate@dbu.edu, პროგრამა _ "Cristian Education".
- ლიდსის უნივერსიტეტი, http://www.leeds.ac.uk/History/staff/anthony_wright.htm, E-mail:a.d.wright@leeds.ac.uk, პროგრამა _ "Church History".
- გლაზგოს უნივერსიტეტი, E-mail: c.chan@arts.gla.ac.uk, პროგრამა _ "Cristian History".
- Victoria University, http://www.vun.ac.nz/religion, პროგრამა _ "Religions Studies".
- Lancaster University, E-mail: Relstud@lancaster.ac.uk, პროგრამა _ "Religions Studies".
- San Diego University, E-mail: hoagland@mail.sdsu.edu, Universytet Warszawski, E-mail: studium@uw.edu.pli, pliwww@uw.udu.pl, პროგრამა _ "Religions Studies".
- Kent University, http://www.kent.ac.uk/secl/thrs/postgrad/pgres-deg.htm, პროგრამა _ "Religions Studies".
- University of Kent. Department of Religious Studies. MA in Relijious Studies. Master of Arts. http://www. Kent. ac. uk/Sect/thrs/postgrand/pgres-deg.htm.
- Amsterdam. Granduate School for Humanities. Religious Studies Department. MA in Religious Studies. graduate-school-fgw@uva.nl.
- University of Laucaster. Religious Studies Department. MA in Religious Studies. g. taylor@ laucaster. ac. UK.
- University of British Columbia. Religious Studies Department. MA in Religious Studies. http://eurs. arts.ubc.ca/index.php?id=3742.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზანი:

ქრისტიანობის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა დარგის სასწავლო პროგრამების კრებსით ვარიანტს, რომელიც გამიზნულია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევის შესწავლა-განხორციელებისათვის. პროგრამის მიზანია ბაკალავრიატის შემდგომი დონის სპეციალისტის, ან მკვლევარის მომზადება ქრისტიანობის ისტორიაში. ამასთანავე, პროგრამა ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

სამაგისტრო პროგრამა იძლევა საშუალებას სტუდენტმა მიიღოს დარგის ირგვლივ ფართო და ღრმა ცოდნა, ან შეიცვალოს სპეციალობა, რაშიც მას დახმარებას უწევს პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათი. პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ჰუმანიტარული მეცნიერებების ყველა დარგში: საეკლესიო სამართალში, სასულიერო ლიტერატურაში, ქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში, ქრისტიანულ არქეოლოგიაში, ქრისტიანულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, საეკლესიო დიპლომატიის ისტორიაში, ქრისტიანულ თეოლოგიაში და ა. შ, პროგრამა ამზადებს სპეციალისტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, უმაღლესი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისათვის, ქრისტიანული ეკლესიის ექსპერტად ჩამოყალიბებისათვის.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს თეორიულ საკითხებს და ქრისტიანობის კონკრეტული კვლევის მეთოდებს და მაგალითებს (case studies). სტუდენტმა უნდა შეძლოს ემპირიული მასალის თავმოყრა, დაჯგუფება და ანალიზის წესის გააზრება. ასევე, გამოკვეთოს ქრისტიანობის ისტორიის კვლევის მიზანი; გააცნობიეროს მაგისტრატურაში ათვისებული ცოდნით მიღებული შედეგები.

მრავალმიმართულებიანი და ღრმა თეორიული მიდგომით, სტუდენტმა უნდა აითვისოს ქრისტიანობის ფენომენის ანალიზის მეთოდ-ხერხები, გაიაზროს დარგის ინტერდისციპლინარული ხასიათი. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი საგნები, სამაგისტრო ნაშრომი, სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიღრმაოს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ზოგადი ცოდნა, გაიფართოვოს ის, დახვეწოს და განავითაროს სამეცნიერო პრობლემის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს და განიმტკიცოს დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები, რომელიც მას დაეხმარება პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს ქრისტიანობაში წამოჭრილი ამა, თუ იმ პრობლემის გადაჭრის უნარი; ჯგუფური მუშაობის, პროექტის შემუშავება – მართვის უნარი და ა.შ. სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს დარგში მიაღებინოს იმ დონის ცოდნა, რომ მან შეძლოს თავისი პროფესიისადმი პროფესიონალური მიდგომის წარმოჩენა; იდეების, პრობლემების, ინფორმაციის გაანალიზების გზაზე კომუნიკაცია სპეციალისტებისა და არასპეციალისტების წრეში.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს ქრისტიანობის ისტორიის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, რომელსაც შესწევს უნარი მეცნიერული კვლევის ჩატარებისა და პრაქტიკული საქმის წარმოებისა აღნიშნულ დარგში. სტუდენტი უნდა ჩამოყალიბდეს ანალიტიკოს-პრაქტიკოსად ქრისტიანობის დარგში.

პროგრამა განკუთვნილია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ცოდნის გაღრმავებით თეორიულ სფეროში, მისი გამოყენებით კონკრეტულ ქრისტიანობის კვლევებში და პრაქტიკულ მუშაობაში.

ბ) სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნას და შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

1. ცოდნა და გაცნობიერება – მაგისტრის ხარისხის მოპოვების შედეგად, მაგისტრს უნდა შეეძლოს საკვლევი პრობლემის გამოკვეთა და მისი დასაბუთება; კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერება და მის საფუძველზე ქრისტიანობაში მიმდინარე პროცესების ანალიზი. ამასთან, მაგისტრის ხარისხის მქონე ღრმად უნდა ერკვეოდეს ქრისტიანობის მსოფლმხედველობის საფუძვლებში; ქრისტიანობის წარმოშობა-განვითარების ისტორიულ პროცესებში; ქრისტიანობის ძირითად სამეცნიერო კონცეფციებში; ქრისტიანობისა და აბრაამისტული რელიგიების შედარებითი კვლევის საფუძვლებში; ქრისტიანული ეკლესიების ურთიერთობათა შედარებითი კვლევის საფუძვლებში; ქრისტიანობის როლსა და დანიშნულებაზე ისტორიულ პროცესებში და ა.შ. აგრეთვე, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა მოდულებში.
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:
   - ა) პრაქტიკული უნარები – მაგისტრის ხარისხის მქონეს უნარი უნდა შესწევდეს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაციისა; გამომუშავებული დებულებების არგუმენტირებულად დასაბუთებისა და მსჯელობის მაღალი უნარი და კულტურა.
   - ბ) ტრანსფერული უნარები - მაგისტრატურის პროგრამა გავლილი პირი სრული ცოდნის გარდა ქრისტიანული სარწმუნოების ირგვლივ, უნდა ფლობდეს ქრისტიანობის ურთიერთმიმართების საფუძვლებს სხვა რელიგიებთან და ტოლერანტობისა და პატივისცემით დამოკიდებულებას ფლობდეს განსხვავებული კონფესიებისადმი, რაც მას შეამზადებს საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრისადმი და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს შეუქმნის.
   - გ) კოგნიტური უნარები – მაგისტრატურა დამთავრებულს უნარი უნდა შესწევდეს დამოუკიდებელი იდეის ჩამოყალიბებისა, რისი საფუძველიც მის მიერ განვლილი პროგრამით მიღებული ცოდნა უნდა იყოს. პირს უნდა შეეძლოს განსხვავებული სამეცნიერო დებულებაში გარკვევა, საკუთარი ნააზრევის ჩამოყალიბება; ქრისტიანობის განსხვავებული სამეცნიერო კონცეფციების დამოუკიდებელი ანალიზი და მათი სინთეზური კვლევით სათანადო აზრის გამოტანის უნარი.
   - დ) მეთოდოლოგიური უნარები – სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს სასწავლო-ასათვისებელი მასალის დროში დაგეგმარება; იდეის ფორმირება და სათანადო პროექტის შედგენა და მისი ხელმძღვანელობა – რეალიზება; გამოიმუშაოს საკვლევი პრობლემის გადაჭრის უნარი.
   - ე) ტექნოლოგიური უნარები – მაგისტრატურა დამთავრებულს უნარი უნდა შესწევდეს სხვადასხვა სახით წყაროების მოპოვება (არქივში, ინტერნეტზე მუშაობის უნარი), მათი დამუშავება, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა სამეცნიერო ანალიზის საფუძველზე.
   - ვ) ლინგვისტური უნარები – შესატყვისად სტუდენტის მიერ არჩეული ქრისტიანობის მიმართულებისა, ის უნდა ფლობდეს იმ უცხო ენას, რომელზეც წერილობითი წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ხასიათის მასალათა უმრავლესობა მოიძიება. საამისოდ კი, სტუდენტს გარდა მშობლიური ენისა, უცხო ენაზეც უნდა შესწევდეს უნარი ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია-პრეზენტაციისა; უცხოენოვანი მასალის მეცნიერული დამუშავებისა.
   - ზ) სოციალური უნარები – სტუდენტს უნდა შეეძლოს ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა, სადაც ის გაუძღვება ქრისტიანული პრობლემატიკის საკითხთა კვლევა-სწავლებას. ამასთან, დაიცავს კოლეგების სამეცნიერო აზრისა და

დებულებებისადმი პატივისცემის ეთიკურ ნორმებს და გამოავლენს კოლექტიური მუშაობის უნარს.

თ) სისტემური უნარები – მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული უნარი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობისა; ასევე, დამოუკიდებლად საკვლევი პროექტის შემუშავებისა და მისი ხელმძღვანელობისა.

გ) დასაქმების სფეროები

მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს რელიგიისა და კონკრეტულად საეკლესიო პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში. ექსპერტის სტატუსით იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სფერო მოიცავს მედიაპოლიტიკას რელიგიასა და კონკრეტულად ქრისტიანობის დარგში, რეგიონალური კონფლიქტების რელიგიური საფუძვლების გამომზეურებასა და მათი მოგვარების გზებისა და საშუალებების ანალიზს, რელიგიური ურთიერთობების გამოცდილებათა გათვალისწინებას მრავალკომფესიურ, პოლიეთნიკურ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, ქრისტიანობის ისტორიის მაგისტრის მქონეს შესაძლებლობა ეძლევა სწავლის გაგეძელებისა დოქტურანტურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით: რელიგიური, კულტურის მეცნიერებათა, ფილოლოგიის, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, რეგიონალური, ისტორიის, ხელოვნების, ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის და სხვ.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისათვის სავალდებულოა:

1) ბაკალავრიატის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში: ისტორიაში, ფილოსოფიაში, ფილოლოგიაში, ხელოვნების ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებში: პოლიტოლოგიაში, ჟურნალისტიკაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებებში.
2) პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
3) სასურველია რუსული ენის ან რომელიმე ევროპული ენის (სასურველია: ინგლისურის, ფრანგულის – B[1]), კლასიკურ ენებში ზოგადი ცოდნა (ლათინური, ბერძნული).

სამუშაო გამოცდილების ქონა სავალდებულო არ არის.

კვლევითი კომპონენტი:

სამი სემესტრის მანძილზე სტუდენტმა უნდა შეასრულოს 6 წერითი ნამუშევარი (ესსე) 3 საგანში – თითოეულ საგანში ერთი თეორიული და ერთი კონკრეტული კვლევა (case study). ეს ნაშრომები გარკვეულწილად შექმნიან შერჩეული სამაგისტრო ნაშრომის საფუძველს. სავარაუდო სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ძალიან ფართოა და მოიცავს ქრისტიანობის ისტორიის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო მწერლობის, თეოლოგიის, საეკლესიო დიპლომატიის, საეკლესიო ისტორიოგრაფია-წყაროთმცოდნეობის და ქრისტიანობის კველვასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების სიღრმისეულ, ინტერდისციპლინურ შესწავლას.

სწავლების ფორმატში გათვალისწინებულია: სემინარები, წერითი რეფერატები, კოლოკვიუმები, დისკუსიები.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ქრისტიანობის ისტორიის მიმართულება თსუ-ში დღემდე არ არსებობს; აქედან გამომდინარე, მას მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ბუნებრივად არ გააჩნია. სტუდენტი ახალგაზრდობის დარგით ფართო დაინტერესებამ დღის წესრიგში დააყენა მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობა. დღეს-დღეობით მიმდინარეობს ცალკეულ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებით მუშაობა, რომლებმაც დარგი უნდა უზრუნველყონ ტექნიკური საშუალებებით და სათანადო ფინანსებით სამეცნიერო ბიბლიოთეკის მოწყობისათვის, სტუდენტური სამეცნიერო კრებულის დაარსებისათვის. სტუდენტთა განკარგულებაშია: აუდიტორიები, საჯარო და დარგობრივი ბიბლიოთეკები, სახელმწიფო და პირადი არქივები, კომპიუტერული ტექნიკა.

სტუდენტები ჩართული იქნებიან ეკლესიათა თანამედროვე ურთიერთობების; საეკლესიო მოდერნიზაციის; საეკლესიო კონფლიქტების საფუძვლების; ეკლესიათშორისი დიალოგის; სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების თემატიკით გათვალისწინებულ პრობლემათა კვლევებში; თსუ-ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებთან მოქმედ სტუდენტთა ქრისტიანობის ისტორიის სამეცნიერო კვლევის შემსწავლელ წრეში; საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სიმპოზიუმებსა და სემინარებში და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
	საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია და გარე სამყარო.	სავალდებულო	5 კრედიტი:
	ქრისტიანული მეთოდოლოგია და საეკლესიო ისტორიოგრაფია	სავალდებულო	5 კრედიტი:
	ქრისტიანობის ისტორია	სავალდებულო	5 კრედიტი:
	ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი - შედარებითი კვლევის საფუძვლები	სავალდებულო	5 კრედიტი:
	მსოფლიო საეკლესიო კრებები და დოგმატური ღვთისმეტყველება	სავალდებულო	5 კრედიტი:
	ძველი და ახალი აღთქმა	სავალდებულო	5 კრედიტი:
	კათოლიციზმის ისტორია საქართველოში (XIII-XIX ს-ის I ნახევარი) საქართველოში	სავალდებულო	5 კრედიტი:
	ქრისტიანობა და მეცნიერება	სავალდებულო	5 კრედიტი:
	საეკლესიო გლობალიზაციის ისტორია კავკასიაში	სავალდებულო	5 კრედიტი:
	ეკუნენური მოძრაობა და მოდერნიზმი ეკლესიაში	სავალდებულო	5 კრედიტი:
	რუსული საეკლესიო დიპლომატია და რუსეთის სიწმინდეები საზღვარგარეთ	სავალდებულო	5 კრედიტი:
	აფხაზეთის ეკლესია XIX-XX საუკუნეებში	სავალდებულო	5 კრედიტი:
	აღმოსავლეთი და დასავლეთი	არჩევითი	5 კრედიტი:
	ისლამური ფუნდამეტალიზმი	არჩევითი	5 კრედიტი:
	რუსული ენა	არჩევითი	5 კრედიტი:
	თანამედროვე ამერიკის რელიგიები	არჩევითი	5 კრედიტი:
	რელიქვიები და ხატები შუა საუკუნეების საქარველოში	არჩევითი	5 კრედიტი:
	ქრისტიანული ღვისმეტყველების საფუძვლები	არჩევითი	5 კრედიტი:

	მორალის ფილოსოფია	არჩევითი	5 კრედიტი:
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30
	სულ		**120 კრედიტი**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

'ქრისტიანობის ისტორიის სპეციალობით მისაღები გამოცდის ფორმატი - წერითია, საგამოცდო ბილეთის საკითხები ორ ნაწილად ჯგუფდება: მსოფლიო ეკლესიათა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიად, ანუ: საგამოცდო ბილეთის ორი საკითხი დაეთმობა ქრისტიანობის ისტორიის ზოგად საკითხებს, ორიც საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან
საკითხებს.

შეფასების კრიტერიუმები: ა) გამოცდა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; ბ) მაგისტრატურაში ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობაა მინიმუმ 51 ქულა. გ) ნაწერი ფასდება 5 კრიტერიუმით:

- დარგობრივი კომპეტენცია
- მსჯელობის თანმიმდევრულობა
- მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება
- კრიტიკული აზროვნება და ანალიზის უნარი
- ენობრივი კომპეტენცია

საგამოცდო საკითხები:

I. ქრისტიანობის ისტორია I-XI საუკუნის პირველ ნახევარში.
1. ქრისტიანობის ისტორიის საგანი
2. ქრისტიანობის ისტორიის პერიოდიზაცია
3. ქრისტიანობის ისტორიის წყაროები
4. წარმართული და იუდაური სამყარო ქრისტიანობის შემოსვლამდე
5. ქრისტიანობის დევნის საფუძვლები: პოლიტიკური, რელიგიური, საზოგადოებრივი.
6. პირველი ერესები და საეკლესიო განხეთქილებები
7. ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის დაარსება
8. პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება-"ნიკეის სიმბოლო"
9. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება- "ახალი ნიკეელები'
10. მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება_მონოფიზიტური ერესის წარმოშობა
11. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება_მონოთელიტური ერესი
12. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება-ხატთბრძოლის ერესი
13. დიდი საეკლესიო განხეთქილება-1054 წელი: მიზეზები და შედეგები

ლიტერატურა:

- ქრისტიანული ეკლესიის ისტორია I-XI ს-ის I მეოთხედი, შემდგენელი გ. კოპლატაძე, თბ., 2007წ.
- არეოპაგიტული კრებული, გამოსცა ივ. ლოლაშვილმა თბ. 1983 წ.
- აპოლოგეტიკური წერილები. სხვადასხვა რელიგიებისა და მიმდინარეობების განხილვა. თბ.2001წ.
- მშვილდაძე მ. რომი და აღმოსავლური რელიგიები I-III საუკუნეებში, თბ. 2005წ.
- ჯაფარიძე ანანია, მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით, თბ. 2003წ.

- ყაუხჩიშვილი ს, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, წგნ. I თბ., 1948
- История Византии, т. I-II, М., 1967
- Флоровски Г, Восточные отцы IV-VIII веков, М., 1996
- Поснов М, Э. История Христанской церкви (до разделения церквей – 1054г.) Брюссель, 1964
- Тальберг И, История Христанской церкви, М., 1991

II კათოლიკური ეკლესია

14. პაპობის აღზევება-ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა დასავლეთ ევროპაში
15. კარლოს დიდი–ცვლილება რწმენის სიმბოლოში
16. ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტე კათოლიკურ ეკლესიაში
17. პაპობის დამცრობა_ინკვიზიცია და მისი მნიშვნელობა
18. კათოლიკობის რეფორმაცია_იეზუიტთა ორდენი

ლიტერატურა:

- აპოლოგეტიკური წერილები. სხვადასხვა რელიგიებისა და მიმდინარეობების განხილვა. თბ.2001წ.
- ქრისტიანული ეკლესიის ისტორია I-XI ს-ის I მეოთხედი, შემდგენელი გ. კოპლატაძე, თბ., 2007წ.
- შუა საუკუნეების ისტორია, გ. კუტალიას რედაქციით, ტ.I, თბ., 2004
- ტივაძე გ, შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, თბ., 1967
- ჯავახია ბ, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბ., 2005
- შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, ა. უდალცოვას, ე. კოსმინსკისა და ო. ვაინშტაინის რედაქციით, თბ., 1946
- ოგიცკი დ, კოზლოვი გ, რომაული კათოლიცზმი, თბ., 2000
- Заборов М, попства и крестовые походы М,1960
- Удалцова В. Италия и Византия VII веке, М1976

III პროტესტანტული ეკლესია

19. კათოლიკურ ეკლესიაში რეფორმაციის კულტურულ-ისტორიული წინაპირობა.
20. პროტესტანტული ქრისტიანობის წარმოშობა
21. მარტინ ლუთერის სულიერი რევოლუცია
22. ქრისტიანობის კალვინისტური მიმდინარეობა
23. საეკლესიო რეფორმა ინგლისში: ანგლიკანური ეკლესიის ფორმირება

ლიტერატურა:

- შუა საუკუნეების ისტორია, გ. კუტალიას რედაქციით, ტ.I, თბ., 2004
- ტივაძე გ, შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, თბ., 1967
- ჯავახია ბ, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბ., 2005
- კუტალია გ, მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1993
- კუტალია გ, მარტინ ლუთერის თეზისები, თბ., 1998
- თომა აკვინელის ფილოსფია, თბ., 1993
- შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, ა. უდალცოვას, ე. კოსმინსკისა და ო. ვაინშტაინის რედაქციით, თბ., 1946
- მენთეშაშვილი ივ, ინგლისის ისტორია, თბ., 2002
- კალანდაძე მ, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002
- Волконский А, Католичество и обященное иредание Востока, Париж, 1933

- Малюга Ю.Я. Культурология, М., 1998
- Поликарпов В.С. Лекции по культурологии, М. 1997

IV საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია

24. საქართველოს ეკლესიის ისტორიის საგანი და მისი სამეცნიერო დისციპლინებთან.
25. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები,
26. საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდიზაცია
27. ქართველი ერის მომზადება ქრისტიანობის მისაღებად
28. საქართველოს საკათალიკოსოს დაარსება-ვახტანგ გორგასალის საეკლესიო რეფორმა
29. სირიულ-სპარსული საეკლესიო ორიენტაცია საქართველოს ეკლესიაში
30. სირიელი მამების მოღვაწეობის მიზეზ-შედეგები
31. აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსება
32. საქართველოს საპატრიარქოს ადგილი მართლმადიდებელ დიპტიხში
33. დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმა: მიზეზ-შედეგები
34. კათოლიცზმი საქართველოში (XVII საუკუნეში)
35. კათოლიკური ორიენტაციის კრახი და კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I
36. საქართველოს საეგზარქოს დაარსება
37. რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში და მისი შედეგები XIX საუკუნე
38. რუსეთის სასულიერო მისიები (“ოსეთის სასულიერო კომისია”, :კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება”)
39. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება (1917წ. 12 III)
40. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია
41. ქართული სამღვდელოება და ქართული კულტურა (1800-1917წწ)
42. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX ს-ის 20-30-იან წლებში
43. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამამულო ომის წლებში (1941-1945წწ)

ლიტერატურა:

- ჯაფარიძე ანანია, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ტ.I-IV, თბ., 1996-2000წწ
- საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1998
- როგავა გ. კათოლიკობა საქართველოში, თბ., 1996
- როგავა გ. როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში, თბ., 1996
- თამარაშვილი მ, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995
- თამარაშვილი მ, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, XIII—XXსს, ტფ., 1902
- პავლიაშვილი ქ, კათოლიკური ეკლესია და საქართველო (XVIIს I-ნახ.) თბ., 1987
- პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ., 1995
- პავლიაშვილი ქ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში, თბ., 2000
- პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწ.I, თბ., 2008
- Еп. Кирион, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тиф, 1901
- Жордания Г, Гамезардашвили З, Римско-католическая миссия и Грузия, Тб., 1994

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელს მოწვეულ პროფესორს ქეთევან პავლიაშვილს ტელეფონზე: 23 06 96; ელ-ფოსტა: ketevan.pavliashvili@yahoo.com